ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

„...უნდა ავამაღლოთ სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობა".

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 169
(6980)

1
1981 წ.
სექტემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ყურადღება, სტარტზე!

ჩვენი საზოგადოებრიობა მუდამ განსაკუთრებული სიხარულის გრძნობით ეგებება ახალ სასწავლო წელს. ამ სიხარულს, რომელსაც ერთგვარი სიამაყეც ერთვის, მხოლოდ სექტემბრის დადგომასთან დაკავშირებული საზეიმო განწყობილება როდი ქმნის. მას გვანიჭებს ის საერთო წარმატებები, რასაც საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ მიაღწია. ჩვენ უკვე ვხედავთ მომავლის სკოლას, რომლის მიზანია ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი თაობის აღზრდა.

დღეს კვლავ ახმიანდება საკლასო ოთახები და აუდიტორიები. რესპუბლიკის სასწავლებლები მესამოცედ ეგებებიან ახალ სასწავლო წელს, იწყება მესამოცე ლაშქრობა ცოდნის სამყაროში. ექვსი ათეული წლის განმავლობაში ეპოქალური გარდაქმნები მოხდა სახალხო განათლების ყველა რგოლში. დაიწყო იგი წერა-კითხვის ლიკვიდაციით და დამთავრდა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლით, რომელიც წარმატებით განხორციელდა გასულ ხუთწლედში.

მოზარდი თაობის ჰარმონიული აღზრდის პროგრამაში, რომელიც საბჭოთა სკოლის უმთავრესი ამოცანაა, ფიზიკური აღზრდა მუდამ იყო და იქნება ერთი უპირველესი საზრუნავთაგანი. სამართლიანად გვეამაყება, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იმთავითვე შემოქმედებითად ახორციელებდა ამ პროგრამას და ჩვენთან დანერგილი ბევრი სიახლე საბჭოთა კავშირში გავრცელდა. შემოქმედებითი ძიება კვლავ გრძელდება. რაც მთავარია, ახლა სიახლის დანერგვის თაოსანთა შორის არიან არა მარტო სკოლისა და განათლების ორგანოების მუშაკები, არამედ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც, ისინი, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ნორჩი თაობის ჰარმონიული აღზრდისა და ქართული სპორტის მომავალი. ვალში კი თავის მხრივ არც მოზარდი თაობა და ახალგაზრდობა რჩება. „საბჭოთა საქართველოს ყველა წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს სახელოვან მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, შეაქვთ ბეჯითი სწავლით, შრომითი სემესტრის დროს თავდადებული გარჯით, სასკოლო საწარმოო ბრიგადებში მუშაობით", — ვკითხულობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპირველსექტემბრო მიმართვაში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების, მასწავლებლების, აღმზრდელების, მშობლებისადმი. როცა რესპუბლიკის შრომით გამარჯვებებში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების წვლილზეა საუბარი, პირველ ყოვლისა უნდა გავიხსენოთ შრომითი სემესტრები, სადაც უფროსკლასელი მოსწავლეებისა და სტუდენტების ერთგული მოკავშირე იყო ფიზკულტურა და სპორტი. „წლევანდელი ზაფხულის მშენებლობაზე — ვკითხულობთ მიმართვაში, — ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროში 230-ათასზე მეტი სტუდენტი და უფროსკლასელი შრომობდა. ათვისებულია 51 მილიონ მანეთამდე კაპიტალური დაბანდებანი", ამ სასახელო შრომაში ახალგაზრდებს ენერგიას მატებდა ფიზკულტურა და სპორტი, ბევრმა მოსწავლემ და სტუდენტმა საზაფხულო შრომითი ბანაკიდან თან წამოიღო შრომასა და სპორტში მოპოვებული წარმატების დამადასტურებელი სიგელები.

ჩვენი სასწავლებლები სამამულო ამოცანებთან ერთად მთელი რიგი სიახლეებით ეგებებიან ახალ სასწავლო წელს. განსაკუთრებით ბევრი სიახლეა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მიმდინარე სასწავლო წელს მწყობრში ჩადგა 51 ახალი სასკოლო სპორტული დარბაზი. კარგი საჩუქარი მიიღეს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა. გლდანში მათთვის გაიხსნა თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი ახალი სპორტული კომპლექსი. კომპლექსს აქვს სამი დარბაზი, სადაც ფრენბურთელებიც და კალათბურთელებიც ივარჯიშებენ.

ახალი სასწავლო წლიდან გაძლიერდება კონტროლი „მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ" დებულების მოთხოვნათა განუხრელად შესრულებაზე. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ამ დებულებისა არის ის, რომ სკოლაში მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე და საერთოდ მათ ფიზიკურ აღზრდა-

(დასასრული მე-2 გვ.).



საბჭოთა ფალავნების ტრიუმფი

ვახტანგ ბლაგიძე და მიხეილ სალაძე — მსოფლიოს ჩემპიონები!

ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო ამ დღეებში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დედაქალაქიც გახლდათ. მსოფლიოს 22 ქვეყნის 144 ფალავანი შეიკრიბა აქ, რათა გაერკვიათ ვინ არიან პლანეტის უძლიერესი ათლეტები ოლიმპიური თამაშების მომდევნო 1981 წელს.

და აი, კვირას ოსლოდან მოვიდა ცნობა, რომელიც მართლაც რომ დიდად სასიხარულოა კლასიკური ჭიდაობის მოყვარულთათვის: **მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა შვიდმა საბჭოთა ფალავანმა და მათ შორის სსრ კავშირის, ევროპის, უნივერსიადის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, დინამოელმა ვახტანგ ბლაგიძემ (52 კგ-მდე) და ასევე დინამოელმა, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა, უნივერსიადების ორგზის ჩემპიონმა მიხეილ სალაძემ (100 კგ-მდე).**

აღსანიშნავია, რომ ვ. ბლაგიძემ (მწვრთნელები **ჯ. მეგრელიშვილი** და **გ. თავართქილაძე**) მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეორედ დაისაკუთრა, ხოლო მ. სალაძე (მწვრთნელი **ვ. მაისურაძე**) პირველად გახდა პლანეტის უძლიერესი ფალავანი.

საბჭოთა ათლეტთაგან მსოფლიოს ჩემპიონთა ოქროს მედლებს აგრეთვე დაეუფლნენ: ალმაათელი ჟ. უშკემპიროვი (48 კგ-მდე), მოსკოველი გ. კორბანი (82 კგ-მდე), ვიტებსკელი ი. კანიგინი (90 კგ-მდე), ზაპოროჟიელი გ. ერმოლოვი (68 კგ-მდე), მოსკოველი ა. კუდრიავცევი (74 კგ-მდე).

დანარჩენ წონებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ი. ტოტი (უნგრეთი, 62 კგ), ა. პასარელი (გფრ, 57 კგ) და რ. მემიშევიჩი (იუგოსლავია, 100 კგ-ზე ზევით).

* * *

ჩვენი „კლასიკოსების" წარმატებების შესახებ „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრნენ საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **დ. დავითაია** და სახელმწიფო მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ო. ბლიაძე**.

— 1958 წლის შემდეგ, როდე-

(დასასრული მე-2 გვ.).

დაჯილდოება

კლასიკურ ჭიდაობაში 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლების მოპოვებისთვის **საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში** შეიტანეს ვ. ბლაგიძე და მ. სალაძე. ისინი აგრეთვე დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელებით.** მათი მწვრთნელები **ჯ. მეგრელიშვილი, გ. თავართქილაძე** და **ვ. მაისურაძე** დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით.

„ფიზიკური კულტურა... განსაკუთრებით ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შედიოდეს“

ლ. ი. ბრეჟნევი

●

ყურადღება, სტარტზე!

დასასრული

ზე პასუხისმგებელია სკოლის მთელი პედკოლექტივი. რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ისევ რჩება დილის ვარჯიშისა და დიდი დასვენების ეფექტიანობის ამაღლება ყველა სკოლაში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ფიზიკური კულტურის საშინაო დავალების შესრულებაში მოსწავლეებს აქტიურად ეხმარებოდნენ მშობლები. ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ თვით მშობლებიც ეზიარონ ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს.

ახალი სასწავლო წლიდან იწყება სკოლების თვითშემოწმება, რომლის მიზანია საგანგებო კითხვარის მიხედვით გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და შეფასება. შემოწმება ხდება თვით სკოლის პედკოლექტივის მიერ დირექტორის ხელმძღვანელობით. ეს ღონისძიება საშუალებას იძლევა კოლექტივმა თავად გააკეთოს დასკვნა თუ როგორ სრულდება მოსწავლეთა ჰარმონიული აღზრდის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები.

სემესტრულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც უკვე გასულ სასწავლო წელს დაიწყო, ცვლილებები მოხდა სასწავლო პროგრამაში. ამ ცვლილებებმა გამოიწვია ფიზკულტურაში ნიშნის დაწერის წესის შეცვლაც. ახალი წესის მიხედვით მთავარია არა მარტო ნორმატივების შესრულება და მოსწავლის მიერ დადებითი შეფასების მიღება, მასწავლებელი ითვალისწინებს საერთოდ მოსწავლის დამოკიდებულებას ფიზიკური კულტურისადმი, მის მონაწილეობას მასობრივ ღონისძიებებში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულ მუშაობაში და ა. შ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკური აღზრდის მთელი პროცესის ამოცანაა განუხრელად შესრულდეს სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „ფიზიკური კულტურა ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შედიოდეს“. ეს უმთავრესი პროგრამაა და ამდენად, ცხადია, მხოლოდ სასკოლო ფიზკულტურით ვერ შემოვიფარგლებით. ამოცანა ახლა ის არის, რაც შეიძლება მეტი ვიზრუნოთ, მეტი გავაკეთოთ, რათა პრაქტიკულად უზრუნველვყოთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასშტაბურობა. საჭიროა უფრო გააქტიურდეს საშეფო მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად. ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის პირობები ბავშვებისთვის უნდა შევქმნათ არა მარტო სკოლებში და ეზოებში, არამედ კულტურისა და დასვენების პარკებშიც, ყველგან, სადაც მოზარდი ისვენებს. უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ მასობრივი, განსაკუთრებით საოჯახო ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. იმაზე, თუ როგორ წარვმართავთ ამთავითვე მუშაობას, ვიქნებით თუ არა პრინციპულნი და შეუვალნი როცა საქმე ეხება ბავშვთა კეთილდღეობას, დამოკიდებული იქნება იმ სიკეთის ეფექტურობა, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს მოზარდისათვის.

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ მეტი მუშაობა გვმართებს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ყველა რგოლში. ამთავითვე ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დროულად გამოვავლინოთ და სპორტულ სკოლებში გავაერთიანოთ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივად ნიჭიერი მოსწავლეები, უნდა ავამაღლოთ მწვრთნელთა პასუხისმგებლობა და გავაძლიეროთ კონტროლი მათ მუშაობაზე. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ფიზკულტურის მასწავლებლებზე, პირველ ყოვლისა მან უნდა შენიშნოს ნიჭიერი მოზარდი. ურჩიოს მას სპორტის რომელ სახეობაში დაიწყოს ვარჯიში. დიდ სპორტს სკოლაში ეყრება საფუძველი და ბევრი რამაა დამოკიდებული ფიზკულტურის მასწავლებლის პასუხისმგებლობაზე. როცა სასკოლო ფიზკულტურისა და დიდი სპორტის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სკოლას ცნობილი მწვრთნელების, სპორტსმენებისა და სპეციალისტების ყურადღებაც სჭირდება. მათი ხშირი სტუმრობა სკოლაში, რჩევა-დარიგებები იმის საწინდარია, რომ დროზე გამოვავლინოთ სპორტული ტალანტი, დროზე დავაყენოთ იგი დიდ სპორტში მიმავალ ბილიკზე. სწორად იქცევიან იმ სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც გაკვეთილებს შორის დიდ დასვენებას, რომელიც განკუთვნილია სპორტული და გასართობი თამაშებისთვის, ამა თუ იმ კუთხეში გავრცელებული ხალხური და ეროვნული თამაშებითაც ამრავალფეროვნებენ. ესეც ერთი ნაცადი გზაა, რომ მოზარდ თაობაში განვამტკიცოთ ფიზკულტურისა და სპორტისადმი სიყვარული, გავუღვივოთ სპორტში სისტემატური მეცადინეობის ინტერესი.

მოსწავლეთა კარგი ფიზიკური მომზადება, მათი სპორტული ოსტატობა იმის გარანტიაა, რომ საშუალო სპეციალური სასწავლებლები და უმაღლესი სკოლები მიიღებენ ისეთ შევსებას, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გააგრძელონ ქართული სპორტის ტრადიციები. ყველა ტიპის სკოლების და სასწავლებლების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ავკარგი მოწმდება საკავშირო მასობრივ ღონისძიებებში, სტუდენტთა სპორტი კი მსოფლიო უნივერსიადაზე გადის გამოცდას. ახლო მომავალში ჩვენს სპორტსმენებს მოელით ახალგაზრდულ საკავშირო ასპარეზობაში გამოსვლა, შემდეგ კი იწყება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი. განსაკუთრებით მეტი მოეთხოვებათ სტუდენტებს. ეს ხაზგასმითაა ჩამოყალიბებული მიმართვაში „მოგმართავთ თქვენ, ჩვენო სტუდენტებო. თქვენ მომავალში უნდა გაზარდოთ ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალი, შეუქმნათ რესპუბლიკას დიდი ავტორიტეტი...“ ცხადია, სტუდენტთა სამომავლო ამოცანებში ქართული სპორტის განდიდებაც შედის, რესპუბლიკის ავტორიტეტს ხომ გარკვეულწილად სპორტიც ქმნის.

ახალი სასწავლო წლის დადგომას გილოცავთ და ახალ წარმატებებს გისურვებთ მოსწავლეებო და სტუდენტებო, განათლების ყველა მუშაკებო, მშობლებო!

საბჭოთა ფალავნების ტრიუმფი

დასასრული

საც მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები გახდნენ გივი კარტოზია და როსტომ აბაშიძე, საქართველოს „კლასიკოსებს“ ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში აგრეთვე ემზადებოდნენ თ. ყაზარაშვილი (48 კგ) და გ. მაჭარაშვილი (68 კგ), მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმის გამო მათ ვერ შეძლეს გუნდთან ერთად ოსლოში გამგზავრება და ამ დიდ ასპარეზობაში გამოსვლა.

ჩვენი ფალავნები სერიოზულად და მთელი გულისყურით ემზადებოდნენ მსოფლიოს პირველობისთვის. მათ გაიარეს წვრთნის მთელი სერია (მინსკში, თბილისში და ბოლოს კვლავ მინსკში), შედეგიც, როგორც ხედავთ, სახეზეა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ქართული სკოლა აღმავლობის გზაზეა. საკმარისია გავიხსენოთ მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი ნაკრების 8 წარმომადგენელი პრიზიორი გახდა — ოქროს მედლები მოიპოვეს ვ. ბლაგიძემ და მ. სალაძემ, „ვერცხლი“ ხვდა შ. მორჩილაძეს, თ. ყაზარაშვილი კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. აქვე 4 ჩვენი სპორტსმენი მეოთხე ადგილზე გავიდა, გუნდმა კი III ადგილი დაიკავა.

წარმატებები, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოდის. აქ დიდია უმაღლესი დაოსტატების სკოლის დამსახურება, აღსანიშნავია ისიც, რომ 1973 წლიდან ნაყოფიერად მუშაობდა გლდანის სკოლა-ინტერნატი. სამწუხაროდ, აღნიშნულმა სკოლამ ამ ბოლო დროს ყურადღება მოადუნა და ამის შედეგი გამოიკვეთა კიდეც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

მხოლოდ ყველა სპორტული რგოლისა და მწვრთნელების, ჭიდაობის ქომაგების შეთანხმებული და დღენიადაგი შრომა მოგვცემს იმ შედეგს, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალებისკენ აიყვანოს ჩვენი მომავალი თაობა. ამ თვალსაზრისით საჭიროა, რომ აქედანვე მთელი გულისყურით ვემზადოთ მომავალი კომპლექსური ღონისძიებებისთვის, კერძოდ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული თამაშებისა (1982 წელს) და ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის.

● ძიუდო

ამჯერად — ამსტერდამში

ეს-ესაა დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ოსლოში, 3 სექტემბერს კი ამსტერდამში, ასევე მსოფლიო ჩემპიონატზე შეიკრიბებიან პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ორი ქართველი ფალავანია — დავით ბოდაველი და თემურ ხუბულური. სამწუხაროდ, ამსტერდამში საასპარეზოდ ვერ გაემგზავრნენ შ. ხაბარელი და თ. ნამგალაური. ოლიმპიური ჩემპიონი ავად გახდა, ხოლო ნამგალაურს ხელი შეუშალა მხარის სახსრის ტრავმამ.

● ველოსპორტი

პირველი ჩემპიონი

22 წლის კუიბიშეველმა ანდრეი ვედერნიკოვმა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიაში გამართულ ველოსიპედისტთა ჯგუფურ რბოლაში.

ამ დიდი შეჯიბრების დებიუტანტმა 187,6-კილომეტრიანი ტრასა 4 საათში, 46 წუთსა და 05 წამში დაფარა. გამარჯვებული პირველი საბჭოთა ველომრბოლია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა საგზატკეცილო ველოსპორტის ამ სახეობაში.

ვერცხლის მედალს დაეუფლა ბელგიელი რუდი როჯერსი, ბრინჯაოს — მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი ჟილბერ გლაუსი (შვეიცარია).

როგორ ხვდებით ახალ სასწავლო წელს?

ა. მელია,

დოცენტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.

წელს მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა სამ ფაკულტეტზე: სპორტის მასობრივი სახეობების, გამოყენებითი სახეობებისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე. ყველაზე დიდი კონკურსი იყო სპორტის მასობრივი სახეობების ფაკულტეტზე, სადაც 119 ადგილზე პრეტენზიას 262 აბიტურიენტი აცხადებდა. 232 კაცი აბარებდა სპორტის გამოყენებით ფაკულტეტზე, სადაც 106 ახალგაზრდა ჩავრიცხეთ. დაუსწრებელი სწავლების 122 მსურველიდან 100 კაცი მივიღეთ.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ჩვენთან 11 მედალოსანი და 33 ფრიადოსნის ატესტატის მფლობელი აბარებდა.

გვეამაყება, რომ წელს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ცურვაში, სპორტის ოსტატი ი. გერასიმოვა, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ წევრი წყალბურთში, სპორტის ოსტატი ზ. ახვლედიანი, მისი თანაგუნდელი, ოსტატობის კანდიდატი მ. ბაღათურია, მშვილდოსანი, ოსტატობის კანდიდატი ნ. ლომთაძე და სხვები.

ვ. ქინქაძე,

თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

— **ჩვენს** სასწავლებელს გაისად ნახევარი საუკუნე უსრულდება, თუმცა არსებობის 32-ე სეზონს ითვლის (იგი 1959-1976 წლებში დახურული იყო), ამჟამად აქ 400 ახალგაზრდა სწავლობს, რომელთა აღზრდას 70-მდე გამოცდილი პედაგოგი ემსახურება, მათ შორის — ვლადიმერ სამსონაძე, ვახტანგ კუხიანიძე, ლევან ყანჩაველი...

სამაყოა, რომ ჩვენმა ტექნიკუმმა საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში 27 ფიზკულტურის ტექნიკუმს შორის საპატიო II ადგილი დაიკავა და სპორტკლუბის („აისი“) სახელის მინიჭების უფლებაც მიიღო. თუ კვლავ დავუბრუნდებით ციფრებს, გეტყვით, რომ წლეულს უკვე მოვამზადეთ 6 სპორტის ოსტატი, 12 ოსტატობის კანდიდატი და 70 პირველთანრიგოსანი.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს, როგორც წესი, აქვთ I თანრიგი და მსაჯის II კატეგორია ან, ცხადია, უფრო მაღალი კატეგორიები. აქამდე ჩვენ მძლეოსნობისა და ჭიდაობის სპეციალისტებს ვამზადებდით, ამიერიდან კი მშთ-ს კომპლექსის, სპორტული მასაჟისა და სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებსაც აღვზრდით.

წლეულს ნიჭიერი შევსება მივიღეთ — სულ 90 მოსწავლე. პირველ რიგში მინდა დავასახელო რესპუბლიკის ნაკრების წევრები, სპორტის ოსტატები ფარიკაობაში ალექსანდრე ლესელიძე და ნატალია ტალახაძე. ვფიქრობთ, ჩვენი ახალგაზრდები ღირსეულად გააგრძელებენ ფიზკულტურის ტექნიკუმის სახელოვან ტრადიციებს.

ჯ. ბაგრატიონი,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

— **სხვებთან** ერთად ჩვენს ინსტიტუტში ჩაირიცხნენ ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები — მოცურავეები, ფრენბურთელები, წყალბურთელები, ბევრი მათგანი საქართველოს ნაკრები გუნდების წევრია და წარმატებით იასპარეზა მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში ზვიად სულუხია (სატრანსპორტო ფაკულტეტი), მძლეოსნები: სარქის ბილბაროვი (სამშენებლო ფ-ტი) და ნატო ჭალიაშვილი (ქიმიური), კალათბურთელი კახაბერ ბაღათურია (სამშენებლო), ფეხბურთელი თენგიზ მურჯიკნელი (გეოლოგიური). მათი იმედი გვაქვს...

სიტყვამ მოიტანა და მინდა გულითადად მივულოცო ჩვენი ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტს მიხეილ სალაძეს მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტულის მოპოვება ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს საჭიდაო ხალიჩაზე.

მ. ჩიბურდანიძე — ნ. ალექსანდრიას მატჩის წინ

2. დაუცხრომელი ჩემპიონი

ბიჭვინთაში, 1978 წლის 7 ოქტომბერს ჭადრაკის დედოფლად გამოცხადებისას მაია ჩიბურდანიძემ გულშემატკივრებს უთხრა:

— ჩემპიონის ტიტული დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ვიცი, ჩემპიონობა ძალიან ბევრს მავალებს. ამიტომ შევეცდები, ხშირად მივიღო მონაწილეობა ტურნირებში, რათა ხელი შევუწყო ქალთა საჭადრაკო მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

ეს იყო სიტყვა, რომელიც მაიამ ფიცივით წარმოთქვა და ალბათ იმავ დროს გულში სიხარულით გაიელო: ახლა კი ვიჯერებ გულს თამაშით, ვინლა მეტყვის, ბევრს თამაშობ და გადაიღლებიო.

მაიას ბავშვობიდანვე ერთი კეთილი თვისება აქვს: შეუძლია დღე და ღამე ითამაშოს ჭადრაკი და არ მობეზრდეს იგი. ჯერ კიდევ პატარა გოგონა ქუთაისში მზად იყო ყველასთან ეპაექრა, ოღონდ კი ეთამაშათ მასთან — გვიანობამდე, საჭადრაკო კლუბის დაკეტვამდე. 1973 წელს 12 წლის მაიამ ზედიზედ 12 საკავშირო ტურნირსა და მატჩში მიიღო მონაწილეობა და თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა, მაგრამ სპეციალისტები შეშფოთებული იყვნენ — ბევრს თამაშობს, „გადაიწვებაო“. მახსოვს, მაშინ მაიამ ბავშვური უშუალობით მითხრა: „რა დამღლის, მათ არ იციან როგორ მიყვარს თამაში!“

საჭადრაკო ბრძოლისადმი დიდი სწრაფვა, დაუცხრომელი, მაძიებელი სული არ ასვენებდა გოგონას. დღესაც ზედიზედ, თითქმის შეუსვენებლად მონაწილეობს მაია ტურნირებში.

1978 წლის ნოემბრიდან, როცა ახალგაზრდა ჩემპიონი სსრ კავშირის გუნდთან ერთად ბუენოს-აირესში ქალთა VIII საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაემგზავრა (აქ ჩვენები ჩემპიონები გახდნენ), 1981 წლის სექტემბრამდე მაიამ 20 საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მათგან თერთმეტი დიდოსტატ და ოსტატ ვაჟთა შეჯიბრება გახლდათ.

14 წლის მაიამ ერთხელ გამანდო, რომ, მისი აზრით, ნამდვილ ჭადრაკს მხოლოდ ოსტატი ვაჟები თამაშობენ. ამიტომ როგორც კი ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა (მსოფლიო ჩემპიონს უარს ვინ ეტყვის), იგი დიდი გატაცებით და წარმატებითაც თამაშობს. აი, რამდენიმე მაგალითი:

1979 წელს ბარსელონის საერთაშორისო ტურნირში პირველი—მესამე ადგილები გაიყო ე. გუფელდთან და ს. ტატაისთან (იტალია). 1980 წელს ბაქოში, საბჭოთა აზერბაიჯანის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში ბევრ დიდოსტატს გაუსწრო და მეექვსე-მერვე ადგილები გაიყო ე. ტორესთან (ფილიპინები) და ი. ჩომთან (უნგრეთი).

ჭეშმარიტად სასწაული იყო მაიას გამოსვლა სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც 1980 წელს ტალინში გაიმართა. აქ მან მეორე ადგილი დაიკავა და I ლიგის საგზური მიიღო. დიდოსტატი მ. ტაიმანოვი „შახმატნოე ობოზრენიე-64“-ში წერდა: „თუმცა ჩვენს უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს უკვე საკმაოდ ბევრი წარმატება აქვთ მოპოვებული ვაჟთა ტურნირებში, მაგრამ მაიას ამჟამინდელი გამოსვლა ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ვაღიაროთ“. და მერე დასძენდა — „ერთი სიტყვით, იგი პასუხობს უმაღლესი რანგის თანამედროვე სატურნირო მებრძოლის ყველა დიდ მოთხოვნას ვაშა, მაიას!“ სხვათა შორის, ამ ტურნირში მაიამ მ. ტაიმანოვსაც მოუგო. საინტერესოა, რომ გამოჩენილი ლენინგრადელი დიდოსტატი პირველად დამარცხდა მოჭადრაკე ქალთან შეხვედრაში.

წარმატება ტალინის ტურნირში შემთხვევითი არ იყო. მაიამ წლეულსაც მოიპოვა I ლიგაში თამაშის უფლება, როცა ნიკოლაევში, სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში პირველ ხუთეულში მოხვდა.

ახლა ყველა ხედავს, რომ 20 წლის დიდოსტატმა ქალმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი უძლიერეს მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირებში. მას უკვე ყველა უწევს ანგარიშს. 1981 წლის თებერვალში, მოსკოვში სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ გამართა სსრ კავშირის ორი ნაკრების, ვეტერანებისა და ახალგაზრდული გუნდების მატჩ-ტურნირი, რომელიც სკკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა. ახალგაზრდულ ნაკრებში სასპარეზოდ ფედერაციის ხელმძღვანელებმა მაია ჩიბურდანიძე მიიწვიეს. ამ ტურნირში იგი იყო ერთადერთი ქალი და, თუმცა მეტოქეებად ცნობილი დიდოსტატები ჰყავდა, სირცხვილი არ უჭამია. ერთ მათგანს — ა. სუეტინს მოუგო კიდეც.

შეიძლება ითქვას, რომ მაია ასრულებს ჩემპიონად კურთხევისას ნათქვამ სიტყვას. იგი მიჰყვება გზას, რომელიც გაკვალეს ვერა მენჩიკმა და ნონა გაფრინდაშვილმა.

ჭადრაკის დედოფალი აქტიურად მონაწილეობს მოჭადრაკე ქალთა ყველა თვალსაჩინო შეჯიბრებაში. განსაკუთრებით საამაყოა მისი ლიდერობით სსრ კავშირის გუნდის (მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი) გამარჯვება ქალთა IX საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც 1980 წლის ოქტომბერს კუნძულ მალტაზე გაიმართა.

მაიამ ბრწყინვალედ ითამაშა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა საკავშირო გუნდურ პირველობაში (1980 წ. დონის-როსტოვი), რომელშიც „დინამოს“ ღირსებას იცავდა. თავისი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის XV გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს გუნდის დიდ წარმატებაში (III ადგილი).

ჩემპიონი ქალი მონაწილეობდა თბილისში გამართულ გუნდურ მატჩ-ტურნირებში, რომელშიც გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ლატვიის, ესტონეთის კოლექტივები.

მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე მაიამ ქალთა მხოლოდ სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა: სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ბელგრადისა და ბად-კისინგენის საერთაშორისო ტურნირებში. ჩემპიონატში მან მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო ნ. გაფრინდაშვილთან და ნ. ალექსანდრიასთან ერთად. ბელგრადში მეორე იყო (პირველი ადგილი ნ. ალექსანდრიამ დაიკავა. მათ შორის შეხვედრა ყაიმით დასრულდა); ბად-კისინგენში მაიამ პირველი პრიზი მოიპოვა.

პრეტენდენტი, ვიდრე ჩემპიონთან მატჩის უფლებას მიიღებს, მრავალ ძლიერ მეტოქეს ხვდება. მარტო ის რად ღირს, რომ პრეტენდენტთა მატჩებში სამ უძლიერეს დიდოსტატს ეპაექრება. ცხადია, იგი ტახტისთვის ბრძოლაში საკმაოდ კარგად ნაწრთობი ებმება. ჩემპიონი კი მოკლებულია ამ შესაძლებლობას. ამიტომ მან მეცადინეობა-წვრთნისთვის სხვა გზები უნდა ეძებოს. როგორც ხედავთ, მაიამ ამ გზად ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობა აირჩია. ახლაც, მატჩის წინ, იგი ესტონელ მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში გამოდიოდა.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა მაიას პირველად მოუხდება და ეს მისგან დიდ შემართებას მოითხოვს.

თ. გიორგაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მაია დედასთან — ნელი ხურციძესთან ერთად ბორჯომში.

თ. ქიქავას ფოტო.

● ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

ორი მატჩი

30 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 კალენდარული მატჩი.

მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „დინამო“ და „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ ორთაბრძოლა დამთავრდა მასპინძელთა — ტორპედოელთა გამარჯვებით — 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	26	18	7	1	42—14	43
„სპარტაკი“	28	17	5	6	59—32	39
„დინ.“ თბ.	27	13	8	6	48—26	34
„ტორპედო“	27	12	9	6	33—24	33
„დინ.“ მ.	26	11	8	7	34—25	30
„შახტ.“	26	10	8	8	42—28	28
ცსკა	27	10	7	10	31—29	27
„დინ.“ მნ.	26	9	8	9	31—28	26
„ყუბანი“	27	9	6	12	35—42	24
„დნეპრი“	27	9	6	12	34—46	24
„ქაირათი“	28	7	10	11	33—40	24
„ნეფთჩი“	27	7	11	9	24—42	24
„არარატი“	26	8	7	11	34—37	23
„ტავრია“	27	8	6	13	23—38	22
ასკ რ.	27	7	8	12	30—43	22
„ჩერნომ.“	26	8	5	13	23—35	21
„ზენიტი“	25	6	9	10	25—31	21
„ფახთაქ.“	27	5	4	18	24—45	14

II ლიგა

განვლილ შაბათს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული შეხვედრები, რომლებიც იბრძვიან I-VIII ადგილებისთვის: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:2, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 3:1, „დინამო“ (სოხუმი)—„ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

I-VIII ადგილები

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	33	23	7	3	63—26	53
„ლოკ.“ ს.	33	19	9	5	59—30	47
„ყარაბ.“	33	15	9	9	52—39	39
„კოლხოზ.“	33	17	3	13	52—42	37
„ხაზარი“	33	15	7	11	62—44	37
„დინ.“ ს.	33	14	8	11	52—42	36
„სპარტ.“	33	16	3	14	59—48	35
„შირაკი“	33	14	5	14	51—42	33

● „იმედის თასზე“

წინ ფინალია

ესტონეთის დედაქალაქში დამთავრდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის „იმედის თასის“ ნახევარფინალური შეჯიბრება.

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრებმა ბოლოსწინა ტურში გაინაღდა პირველი ადგილი და ფინალის საგზურიც. ჩვენი გუნდიდან ლ. ბარათაშვილი საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს, ხოლო მ. არზიანი, თ. მურჯიკნელი, ა. წიკლაური და ს. ჭედია თბილისის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდთან ერთად ესპანეთს გაემგზავრნენ. საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

ამის გამო საქართველოს ჭაბუკებმა დასკვნით ტურში შესუსტებული შემადგენლობით ითამაშეს და დამარცხდნენ ესტონელ თანატოლებთან 1:2, თუმცა ამ შეხვედრას პრაქტიკული ცვლილება არ მოუხდენია საბოლოო შედეგებზე.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ტაჯიკეთი — მოსკოვი 1:1, ლიტვა — ბელორუსია 0:0.

საბოლოოდ, ადგილები ცხრილში ასე განაწილდა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საქართველო	5	4	0	1	13—4	8
მოსკოვი	5	2	2	1	5—5	6
ბელორუსია	5	2	1	2	8—4	5
ტაჯიკეთი	5	2	1	2	3—6	5
ლიტვა	5	1	2	2	9—5	4
ესტონეთი	5	1	0	4	2—16	2

საქართველოს ჭაბუკებთან ერთად ფინალის საგზური წილად ხვდა მოსკოვის ნაკრებს.

სხვა ქალაქებში პარალელურად მიმდინარეობდა „იმედის თასის“ დანარჩენი ნახევარფინალებიც. გამარჯვება მოიპოვეს რსფსრ-ს, უკრაინის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდებმა.

ეს 6 კოლექტივი ვოლგოგრადის ოლქის ქალაქ ვოლჟსკში 22-დან 30 სექტემბრამდე გაითამაშებს ფინალს, სადაც საბოლოოდ გაირკვევა უძლიერესი გუნდისა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის „იმედის თასის“ 1981 წლის მფლობელის ვინაობა.

ო. ჯებაშვილი,

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ჩემპიონთა თასზე

მეორე მატჩი გადაწყვეტს

საფრანგეთის ჩემპიონმა „სენტ-ეტიენმა“ და გდრ-ის ჩემპიონმა „დინამომ“ (ბერლინი) 2 დამატებითი შეხვედრა უნდა გამართონ ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად.

პირველი მატჩი უკვე გაიმართა სენტ-ეტიენში. ფრანგების სტოპერმა ლოპესმა 24-ე წუთზე საკუთარ კარში ჩაჰრა ბურთი, 75-ე წუთზე მანვე გაქვითა ანგარიში და მატჩიც ასე დამთავრდა — 1:1.

თასების თასზე

ლაიფციგის „ლოკომოტივის“ წარმატება

როგორც ცნობილია, ლაიფციგის „ლოკომოტივს“ (გდრ) და ტიმიშოარას „პოლიტეხნიკას“ (რუმინეთი) დებულების თანახმად 2 დამატებითი შეხვედრის გამართვა მოუხდათ, რათა თასების მფლობელთა თასზე მონაწილეობის უფლება მოეპოვებინათ.

პირველ მატჩში წარმატება რუმინელებს ხვდათ წილად — 2:0. ლაიფციგში კი მასპინძელთა სრული უპირატესობა იგრძნობოდა. „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 5:0 და წარმატებასაც მიაღწია.

● ფეხბურთი

ავსტრია

ვენელი მიმომხილველი ჰ. ზლოდჩიკი ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოში“ წერს ავსტრიის ჩემპიონატის სტარტის შესახებ.

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცნენ „გრაცერ აკ“ და ვენის „ადმირა-ვაკერი“. გრაცელებს საკუთარ მინდორზე უდავო უპირატესობა ჰქონდათ ავსტრიის ექსჩემპიონ „ვინერ შპორტკლუბ-პოსტთან“. 52-ე წუთზე ანგარიში გახსნა გიოსლმა, ხოლო 82-ე წუთზე ავსტრიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ რიდლმა მეორე ბურთი გაიტანა. 2:0 — გაიმარჯვა „გრაცერ აკ“-მა. ვენის „ადმირა-ვაკერი“ ასევე გრაცში თამაშობდა და ანგარიშით 3:1 სძლია „შტურმს“, 3 ქულით მესამე ადგილზე მოულოდნელად გადაინაცვლა შარშანდელმა აუტსაიდერმა — ზალცბურგის „აუსტრიამ“. მან საკუთარ მინდორზე დამაჯერებლად სძლია ჩემპიონს, ვენის „აუსტრიას“ — 2:0.

ავსტრიის ჩემპიონატის მესამე ტურში გრაცში ერთმანეთს შეხვდა ორი ადგილობრივი კლუბი — „შტურმი“ და „გრაცერ აკ“, რომლებიც, როგორც ცნობილია, ევროპული ტურნირების მატჩებში უნდა ეთამაშონ ცსკა-ს და თბილისის „დინამოს“. გაიმარჯვა „შტურმმა“ 4:1. 3 ბურთი გამარჯვებულთაგან გაიტანა ბოკოტამ, 1 — იურტინმა. „გრაცერიდან“ წარმატებას მიაღწია ვაისმა.

გფრ

გფრ-ის ჩემპიონატის IV ტურში მიუნხენის „ბაიერნმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა. მან დიუსელდორფში სძლია ადგილობრივ „ფორტუნას“, 8 შესაძლებლიდან მაქსიმუმი დააგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს.

სხვა მატჩები: „კარლსრუე“ — „არმინია“ (ბილეფელდი) 2:1, „კიოლნი“ — „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) 2:0, „ნიურნბერგი“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 0:3, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „დუისბურგი“ 2:1.

● ●

6-6 ქულა აქვთ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“, „ბოხუმს“, „შტუტგარტსა“ და „კიოლნს“.

ჰოლანდია

ჰოლანდიის ჩემპიონატის III ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ეინდჰოვენში, სადაც ადგილობრივმა „პსვ ეინდჰოვენმა“ მიიღო ჩემპიონი — „აზ 67“ (ალკმარი). უკვე მე-4 წუთზე ალკმარელთა ცენტრფორვარდმა კისტმა გახსნა ანგარიში, მე-14 წუთზე ჰუჰმა გაიტანა საპასუხო ბურთი, მაგრამ შემდეგ იძალეს სტუმრებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარმცველი პეტერსი. კისტმა, დანიელმა ნიგაარდმა და ტოლმა კიდევ 3 ბურთი გაიტანეს, ხოლო 90-ე წუთზე ლანდსბერგერმა შეძლო ანგარიშის შემცირება — 2:4. ამ გამარჯვების შემდეგ „აზ 67“-მ, ისევე, როგორც ამსტერდამის „აიაქსმა“ (მან ანგარიშით 5:1 სძლია „ცვოლეს“), 5 ქულა მოაგროვა და გათამაშების ცხრილში I-II ადგილებს იყოფს.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

● რეგბი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

მნიშვნელოვანი გამარჯვება

ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი განვლილი მატჩიდან. თბილისელები (თეთრი მაისურით) „გზას უღობავენ“ მეტოქეს.

ავტორის ფოტო.

თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატი.

თბილისში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო კიევის „ავიატორი“, რომელიც სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფება.

შეხვედრის დასაწყისი სტუმართა უპირატესობით აღინიშნა. შემდეგ კი თამაში თანდათან გათანაბრდა და თბილისელთა ერთ-ერთი შეტევისას საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ბესარიონ ლილუაშვილმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ტაიმის ბოლომდე 10 წუთით ადრე კიეველმა პ. დმიტრიენკომაც ზუსტად გამოიყენა საჯარიმო — 3:3.

შესვენების შემდეგ მატჩი დუნედ გაგრძელდა და საყაიმო შედეგიც თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ 75-ე წუთზე დმიტრიენკომ კვლავ საჯარიმოდან დააწინაურა თავისი გუნდი — 6:3. მხოლოდ ამის შემდეგ ათამაშდნენ მონდომებით თბილისელი სპორტსმენები. მათ მთელი ძალით შეუტიეს მოწინააღმდეგეს და რამდენიმე სახიფათო გარღვევაც განახორციელეს. მსაჯის საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე სტუმრებმა თამაშის წესი დაარღვიეს და ლილუაშვილმა საჯარიმოთი აღადგინა წონასწორობა — 6:6.

თამაშის მე-80 წუთზე „ლოკომოტივის“ მორიგი შეტევისას ისევ ლილუაშვილმა გამოიჩინა თავი და მეტოქეთა „ქალაქი“ აიღო — 10:6.

მატჩის არბიტრმა შეხვედრის ძირითად დროს რატომღაც 10 წუთი დაუმატა. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კიეველთა ყველა შეტევა წარმატებით მოიგერიეს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში მეტად საჭირო ქულები მოიპოვეს.

გ. ახალაძე.

მატჩი ქუთაისში

ქუთაისში ადგილობრივმა „სახლმშენმა“ მიიღო მოსკოვის ოლქის (მონინო) გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი.

თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა უპირატესობის მოსაპოვებლად. შემდეგ საჯარიმოს კარგად იყენებენ ქუთაისელები (გიორგაძე), 31-ე და მე-40 წუთზე გიორგაძემ ორჯერ გაატარა ბურთი მოსკოველთა კარის ძელებს შორის, მაგრამ ტაიმი მაინც სტუმრების მინიმალური უპირატესობით დამთავრდა — 10:9.

მეორე ნახევარში ქუთაისელთა რამდენიმე ტაქტიკური შეცდომის შედეგად მოსკოველებმა ზედიზედ აიღეს ქულები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბობროვი, რომელმაც ზუსტად გამოიყენა რამდენიმე საჯარიმო. ქუთაისელებს არ ეყოთ გამოცდილება და ძლიერ მეტოქესთან დამარცხდნენ — 9:22.

მორიგ შეხვედრას „სახლმშენი“ ჩაატარებს კიევში, ადგილობრივ „ავიატორთან“.

ლ. ფაჩუაშვილი.

● ხელბურთი

მესამე ადგილზე

„ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში დასრულდა სტუდენტ ხელბურთელთა საკავშირო სპარტაკიადის ტურნირი. იგი ძალთა კარგი შემოწმება გახლდათ 1982 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (ჩელიაბინსკი) — **უნივერსიტეტი** (უფა) 32:22 (14:10).

ჩელიაბინსკელმა ხელბურთელებმა მატჩის პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და მიუხედავად უფელთა მედგარი წინააღმდეგობისა, მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს, რამაც მათ მეხუთე ადგილი მოუტანა. ორ მატჩს უნდა გადაეწყვიტა ტურნირის გამარჯვებულის საკითხი, რომლისთვისაც სამი გუნდი იბრძოდა და ყველა მათგანს თანაბარი შანსი გააჩნდა, თუმცა მათ შორის თბილისელები მაინც გამოირჩეოდნენ.

საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — **ფიზკულტურის ინსტიტუტი** (კრასნოდარი) 25:26 (15:12).

მატჩის დასაწყისში კრასნოდარელებმა იაქტიურეს და დაწინაურდნენ 6:2; მოსკოველებმა ნელი, მეთოდური თამაშით ჯერ გაათანაბრეს მდგომარეობა, შემდეგ კი ანგარიშიც წაიყვანეს — 15:12. მატჩის მეორე ნახევარში მოსკოველთა გამარჯვება თითქმის ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ კრასნოდარელებმა სწრაფი კონტრშეტევების წყალობით თამაშში გარდატეხა შეიტანეს და შეხვედრის ბოლო წამებზე გადამწყვეტი გოლიც კი გაიტანეს — 26:25.

ამ გამარჯვებით კრასნოდარელებმა ფინალურ ეტაპზე 4 ქულა დააგროვეს და ლიდერები გახდნენ. მათი გასწრება, ან უკიდურეს შემთხვევაში დაწევა და ჩემპიონობის დასაკუთრება შეეძლოთ მხოლოდ თბილისელებს, რომლებსაც ფრეც კი ყოფნიდათ ზაპოროჟიელებთან შეხვედრაში, მაგრამ...

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — **ინდუსტრიული ინსტიტუტი** (ზაპოროჟიე) — 29:33 (18:14).

ყოველ მატჩს თბილისელები იწყებენ ალმავლობით, შედეგიანად, გუნდის თითოეული წევრი მოქმედებს თავგანწირვით, გააზრებულად, კოლექტიურად. ასე იყო ახლაც. პირველსავე წუთებზე ა. ნავროზაშვილმა, ა. ტაბიძემ და ა. ანპილოგოვმა საგრძნობლად დააწინაურეს გუნდი (5:1). მასპინძელთა შედეგიან შეტევებს ბოლო არ უჩანდა. ზურგში საიმედოდ მოქმედებდნენ მეკარეები ჯერ ჯ. ბარამიძე, ხოლო შემდეგ კი ა. კომახიძე. მე-14 წუთზე, როცა ზაპოროჟიელებმა ა. ანპილოგოვს პერსონალური მეურვეობა მიუჩინეს, თბილისელთა შეტევებს სიმწვავე და შედეგიანობა არ დაჰკლებია. აქტიურობდნენ წინა ხაზის მოთამაშენი ა. ტაბიძე, ზ. დოლიძე და ახალგაზრდა ლ. აბესაძეც კი, მაგრამ შეტევებით გართულებმა დაცვაში ყურადღება მოადუნეს, რითაც კარგად ისარგებლეს ზაპოროჟიელებმა და ტაიმის დასასრულისათვის ჯერ თამაში გაათანაბრეს, ხოლო 33-ე წუთზე, როცა ს. კუმნირიუკმა ანგარიშშიც თანაფარდობა დაამყარა 19:19, დაიწყო უკრაინელ ხელბურთელთა „ალმასვლა“. თბილისელები მდევრების როლში მოგვევლინენ, რამაც უარყოფითად იმოქმედა გუნდზე. ნერვიულობასთან ერთად იმატა შეცდომებმა როგორც გადაცემებში,

ისე ტურნირის საბოლოო ფაზაში. დაცვით რიგებშიც გაჩნდა ბზარები. მასპინძელთა დაბნეულობით ისარგებლეს უკრაინელმა სპორტსმენებმა და ორიოდე წუთში სამქულიანი სხვაობა გაინაღდეს (22:19). ამ გადამწყვეტ წუთებში თბილისელთა ლიდერებმა 7-მეტრიანი საჯარიმოებიც კი ვერ გამოიყენეს. პოლიტექნიკოსებმა მატჩის მიწურულში კიდევ ერთხელ სცადეს ხელში ჩაეგდოთ ინიციატივა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ხოლო როცა ა. ტაბიძე საჯარიმო სკამზე აღმოჩნდა, ზაპოროჟიელებმა პირველი შეტევით წერტილი დაუსვეს გამარჯვებას — 33:29 და მხოლოდ მესამე ადგილი არგუნეს სპი-ს ხელბურთელებს, თვითონ კი მეოთხე ადგილზე დარჩნენ.

სპარტაკიადის ჩემპიონობა წილად ხვდათ კრასნოდარელ სტუდენტებს; მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომლის რიგებშიც იყო ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ო. გაგინი 46 გატანილი გოლით.

დამთავრდა შეჯიბრება, რომელიც თბილისელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარეს. იგრძნობოდა, რომ გუნდი ჯერ კიდევ არ არის ჩვეულ საბრძოლო ფორმაში. ტურნირის სამი ძნელი მატჩი, ისევე როგორც ამ ბოლო წლების თითქმის ყველა მატჩი, საკავშირო თუ საერთაშორისო არენაზე გუნდმა ჩაატარა ათიოდე მოთამაშის შემადგენლობით, რაც უდავოდ ცოტაა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებისათვის. მოკლეა სათადარიგო სკამი. არ არის რეზერვი, ვინც არის, მისი ოსტატობა საგრძნობლად ჩამორჩება დღევანდელი ხელბურთის ნორმებს. რაც შეეხება ვეტერანებს, ისინი კვლავინდებურად გამოირჩევიან ჩვეული ოსტატობით, მაგრამ მათ „თავს ზემოთ“ უკვე ძალა აღარ ყოფნით.

აგერ უკვე მერამდენე წელია გუნდისთვის „აქილევსის ქუსლია“ რეზერვის სიმცირე, რის შესახებ კარგად გამოსთქვა თავისი აზრი საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ხელბურთში ა. კოჟუხოვმა, როცა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე (ამა წლის 26 აგვისტო) საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადის ხელბურთელთა ტურნირის შედეგები შეაჯამა.

„...თბილისის „ბურევესტნიკი“ (იგივე სპი — ჯ. ა.), რომელიც წარმატებით გამოდის უმაღლეს ლიგაში, აგერ უკვე მერამდენე წელია საჭიროებს ახალ შევსებას, მაგრამ ვეტერანთა ცვლა არც მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ჩანდა“... და კიდევ:... „სუსტად მიმდინარეობს მუშაობა რეზერვის მომზადებისათვის... ამიერკავკასიის რესპუბლიკებში“. ძალზე დამაფიქრებელი სიტყვებია.

მომავალი თაობის აღზრდის საკითხზე, იმის შესახებ, თუ საიდან და როგორ ქმნიან გუნდისთვის საიმედო სარეზერვო ბაზას, მე ვესაუბრე ზაპოროჟიელ და კრასნოდარელ ხელბურთელთა მწვრთნელებს: საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ს. პოლონსკის და რსფსრ-ს დამსახურებულ მწვრთნელს ვ. კროხინს. აი, რა მიპასუხეს მათ:

ს. პოლონსკი: ზაპოროჟიე ორი გუნდითაა წარდგენილი საკავშირო ჩემპიონატებში. თითოეულს სჭირდება მაღალი კლასის ხელბურთელები. ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა კი ქალაქში ერთია. თვით მე დავდივარ სკოლაში, დამამთავრებელი ჯგუფებიდან ვარჩევ პერსპექტიულ ბავშვებს და, ასე ვთქვათ, „ჩემს ჭკუაზე“ ვზრდი. ამ გზით თვითონ ვქმნი გუნდისთვის ბაზას.

ცნობისათვის: ს. პოლონსკიმ აღზარდა ხელბურთელთა მთელი პლეადა, რომელთაგან ხუთი ოლიმპიური ჩემპიონია.

ვ. კროხინი: ჩვენ ვეწევით საselექციო მუშაობას. ჩვენი დევიზია: ეძიე, იპოვნე, აღზარდე. დავდივართ სტანიცებში, ვარჩევთ კარგი ფიზიკური მონაცემების ახალგაზრდებს, გადმოგვყავს ისინი კრასნოდარში. აღზრდის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სკოლა და პირველი ლიგის გუნდი „უროჟაი“, რომელშიც სტაჟირებას გადიან ახალგაზრდა ხელბურთელები. ჩვენ მათთან მჭიდრო კავშირში ვართ, ისინი ხომ ჩვენი გუნდისათვის, ყუბანური ხელბურთის განვითარებისთვის შრომობენ! ჩვენი აზრით, ეს სწორი გზაა, თუმცა აქ ახალი არაფერია.

თბილისელთა დღევანდელ თამაშებში წარუმატებლობის მიზეზს კი ჩვენ ვხედავთ სრულფასოვანი რეზერვის არყოლაში. მართალია დაგვიანებით, მაგრამ ახლა მაინც საჭიროა, რომ რეზერვის აღსაზრდელად დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები, რათა ქართულმა ხელბურთმა არ დაიწყოს უკუსვლა.

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: კრასნოდარისა და მაი-ს გუნდების შეხვედრის დროს სახიფათო მომენტი კრასნოდარელთა კართან.

გ. ახალაძის ფოტო.

● ჭადრაკი

მედლები განაწილდა

გრაცში (ავსტრია) დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური პირველობა.

დასკვნით ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს გფრ-ის გუნდს — 2,5:1,5 და 32 ქულით I ადგილი დაიკავეს.

II ადგილი ხვდა ინგლისელთა გუნდს, რომელსაც 29 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, III — უნგრეთის. ნაკრებს — 27,5 (1).

●

ფიშერი ისევ უარზეა

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ამერიკელი რ. ფიშერი ჯერჯერობით თავს იკავებს დაუბრუნდეს საჭადრაკო სამყაროს: მან უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს მატჩში, რომელიც ისლანდიის დედაქალაქში უნდა გამართულიყო.

ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. ოლაფსონმა ფიშერის საქციელი ასე განუმარტა რეიკიავიკში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს: ფიშერს თავი მოაბეზრა ისლანდიელ მოჭადრაკესთან დანიშნული შეხვედრის პროექტის ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა.

● ნიჩბოსნობა

დიდი უპირატესობა

მიუნხენის ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით აღინიშნა. მათ ოთხ ფინალურ გაცურვაში გაიმარჯვეს. დიდი უპირატესობით აჯობეს მეტოქეებს მ. კოკარევიჩმა და ა. მაკინომ, რომლებმაც ქალთა შორის ორადგილიანებით შეჯიბრებაში ნავის კორპუსზე მეტი მანძილით ჩამოიტოვეს მეტოქეები. ჩვენმა ქალებმა გაიმარჯვეს აგრეთვე წყვილთა ოთხადგილიანი მესაჭით, ოთხადგილიანი გასაშლელით და რვაადგილიანებით შეჯიბრებაში.

ორ დანარჩენ კლასში გაიმარჯვეს: ერთადგილიანებით ს. ტომამ (რუმინეთი) და ორადგილიანი გასაშლელით გდრ-ის ეკიპაჟმა. ასე რომ, ყველა ოქროს მედალი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვებები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 14957